

42140

2



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

წითლარძილის ბიბლიოთეკა

წ. გაბაშვილი



დათბრთა  
შემოსრულები  
საქართველოში

ბაქო 1943 წ. გამოსვლა



1 9 4 3



ქართული  
აკადემიის  
ინსტიტუტი

სსსრ მეცნიერ. აკადემია—ისტორიის ინსტიტუტი

ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა  
წინააღმდეგ

პაე. გაბაშვილი

თათართა შაჟოსაჟაბი  
საქართჟალოში

(ბაგრატ V და გიორგი VI)



საქართ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
თბილისი

1943

Handwritten numbers: 549, 1615, and 42140

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი პრფ. ნ. ბერძენიშვილი



31154-45.



XIV ს. დამლევეს და XV ს. დამდეგს ჩვენი ქვეყანა მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. შუა აზიიდან გამოსულმა თემურ-ლენგმა საქართველოს ზღუდე შემოარღვია და ტფილისს შემოადგა. თანამედროვე ქართველი მემატიანე მოკლედ აღნიშნავს: „მოვიდა სამარყანელი სულტანი თემურ დიდითა სპითაო“. ქართველი ხალხი ფეხზე დადგა. სამშობლოს დასაცავად ქუდზე კაცი გამოვიდა.

1386 წლიდან დაწყებული 1403 წლამდე ჩვენი გმირი წინაპრები საოცარი მხნეობით ებრძოდნენ ძლიერსა და სასტიკ მტერს. უდიდესი მსხვერპლი გაიღო ქართველო ბამ, მაგრამ თავგანწირული ბრძოლით შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და სამართლიანი ომი გამარჯვებით დაავიროვეს.

\* \* \*

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა საქართველოს განთავისუფლებით დასრულდა.



მალაღნიჭიერმა გიორგი V (1318-

1346) საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა აღადგინა: 1327 წ. კი ერანის ილხანების კარზე მომხდარი არეულობით ისარგებლა და ჩვენი ქვეყნიდან მონღოლთა ლაშქარი და ყველა მათი მოხელე განდევნა.

გიორგი V მოღვაწეობით თათარ-მონღოლთა ბატონობის ხანაში „შეშლილნი წესნი“ და ყოველგვარი „ულუსობა“ საგანგებო კანონმდებლობით მოწესრიგდა. ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე „კარის გარიგებით“ კვლავ გაიმართა. საფინანსო ღონისძიებებით ქვეყანა ეკონომიურადაც გაძლიერდა. მეურნეობა გამოცოცხლდა. ვაჭრობა და ალებ-მიცემა გაცხოველდა. ნაომარმა ქართველმა ხალხმა ძალ-ლონე მოიკრიბა. მთელ აღმოსავლეთში განთქმულმა ტფილისმა ოდინდელი მნიშვნელობა დაიბრუნა და ქართული პოლიტიკისა და კულტურის კერად იქცა.

გიორგი V, რომელსაც მადლიერმა შთამოქაველობამ „ბრწყინვალე“ უწოდა, საქართველოა ძლიერა სახელქწიფოს სახელი კვლავ

მოუპოვა და მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოიყვანა.



მაგრამ XIV ს. ოთხმოციან წლებში თათრებმა ერთხელ კიდევ მოაგონეს ქართველებს თავი.

1386 წ. ნოემბერში მრისხანე თემურ-ლენგი თავისი ჯარით ტფილისის კედლებთან იდგა, მის გარემოცვას ამთავრებდა და საქართველოს დედაქალაქის ასაღებად ძლიერ იერიშს აშინებდა...

\* \* \*

თემურ-ლენგი იმდროინდელ აღმოსავლეთის უძლიერესი მხედართმთავარი იყო.

აზიის დიდ დამპყრობელს ჩინგიზყანის ჩამომავლად და ნათესავად მოჰქონდა თავი. ამიტომ თათარ—მონღოლთა ყაენების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდა და მათი ყოფილი სამფლობელოების დაპყრობას თავის მოვალეობად სთვლიდა.

თემურმა მოღვაწეობა ყაჩაღების ბრბოს მეთაურობით დაიწყო, მაგრამ იშვიათი სამხედრო ნიჭის, გულადობისა და მარჯვედ გამო-

ყენებული ვერაგობის წყალობით ჩქარა დაწინაურდა შუააზიელი ემიგრების კარზე. მოკიდებული ის ზედიზედ აღწევს პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებებს. თუ ლლაქ თემურ ხანის დაღუპვისა და ემირ ჰუსაინის მკვლელობის შემდეგ 1370 წ. თემური ბაღს გაბატონდა. მეტოქე მფლობელების დამარცხებით შუა-აზიის თათრულ-თურქული საემიროები შეიერთა და თავის სატახტო ქალაქად სამარყანდი გაიხადა. ამის შემდეგ ის ერანის დაპყრობას შეუდგა. ნიჭიერმა სარდალმა, რომელიც ყველგან განსაკუთრებული სიმკაცრით აწარმოებდა გაუთავებელ ომებს, მოკლე ხანში უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო. ბოლოს მისი საბრძანებელი შუა აზიიდან ეგვიპტემდე და სამხრეთ რუსეთის ველებიდან ინდოეთამდე გადაიჭიმა.

თემურის დაპყრობითი ომების მიზანს თათართა (მონღოლთა) სახელმწიფოს აღდგენა და განუყოფელი მსოფლიო ბატონობა შეადგენდა.

ამ მიზნით აწარმოებდა იგი მრავალწლოვან ომებს; შეუნელებლივ აომებდა თავის

მრავალრიცხოვან ჯარებს ახლობელი თუ შორეული სახელმწიფოების დასაპყრობად, ძარცვავდა და ანგრევდა აყვავებულ ქალაქებს; სასტიკად ეპყრობოდა დამონებული ქვეყნების ხალხებს, და შეუბრალებლად ხოცავდა იმათ, ვინც მორჩილებასა და მოხარკეობაზე უარს ამბობდნენ...

თემურ-ლენგის ისტორიკოსები მისი საქართველოში შემოსევების მიზეზად ისლამის სარწმუნოების გავრცელების სურვილს ასახელებენ. ნამდვილად კი ამიერ-კავკასია და, კერძოდ, საქართველო თემურის დაპყრობითი ომებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე უბანს წარმოადგენდა. აქ და მის მეზობლად ეგულებოდა მას მონღოლური წარმოშობის დინასტიების (ჯალაირიანების, ჯუჩიანების, ჯუბენიანების) სამფლობელოები. ჩრდილოეთით (კავკასიონის ქედს გადაღმა) მის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა ოქროს ულუსის მბრძანებელი და თემურის ძლიერი მეტოქე თოხთამიშხანი. საქართველოს დაპყრობით თემურ-ლენგი ფიქრობდა უზრუნველყო დასაკუთრებული ერანის უში-





შროება თოხთამიშის მოსალოდნელი შემოტე-  
ვისაგან. დარიალის და დარუბანდის  
ულელტეხილების ხელში ჩაგდება და გამაგრე-  
ბა თოხთამიშს ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერ-  
კავკასიაში გადმოსავალ გზებს შეუკრავდა.  
ამისთვის კი ამიერ-კავკასიის ხალხების უსი-  
ტყვო მორჩილება იყო საჭირო.


თოხთამიშ ხანსაც კარგად ჰქონდა გა-  
თვალისწინებული ის საფრთხე, რომელსაც მას  
თემურ-ლენგი უმზადებდა. ამიტომ მან 1385  
წ. დარიალის და დარუბანდის გზით თავისი  
სარდლები ქ. თავრიზის დასაპყრობად გაგზავ-  
ნა. პირველად თოხთამიშის ლაშქარი იმარ-  
ჯვებდა, მაგრამ ბოლოს გამარჯვება თემურს  
დარჩა. 1388 წ. თოხთამიში მოულოდნელად  
დაეცა ტრანსოქსონიას, შეავიწროვა თე-  
მურის ვაეიშვილის ომარ-შეიხის და მისი  
ნოინების ლაშქარი და დაპყრობით დაემუქრა  
სამარყანდს. გართულებული მდგომარეობა ისევ  
თემურის სამხედრო ოსტატობამ გამოასწორა.  
გაბედული იერიშით მან მტერი უკუაქცია. გაო-  
ცებულმა თოხთამიშმა თავი ველარ დაუჭირა  
უკუქცეულ მეომრებს და... გამარჯვება ხელიდან

გაუშვა. 1391 წ. ოქროს ულუსის მბრძანებელმა  
თავდასხმა გაიმეორა: ამჯერად ომარ <sup>შეიქმნა</sup>  
ის სასტიკად დაამარცხა. ომწაგებულ თოხ-  
თამიში საქართველოში გაიქცა, რათა ოთხი  
წლის შემდეგ ერთხელ კიდევ გამოეცადა ბედი.

1395 წ. თემური ყივჩაღეთში შეიქრა  
და თერგის პირას მწარედ დაამარცხა თავისი  
მეტოქე. გამარჯვებულმა ოქროს ულუსის დე-  
დაქალაქი ს ა რ ა ი - ბ ე რ ქ ე მ დ ი პირწმინდად  
გაძარცვა, დაანგრია და გადასწვა. ამის შემ-  
დგომ მან საქართველო მოითარეშა და რამ-  
დენიმე აჯანყება ჩააქრო ერანში.

ასე უსწორდებოდა თემურ-ლენგი იმათ,  
ვინც ოქროს ულუსთან პოლიტიკური და სამხე-  
დრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული.

ომებით დაუღალავი დამპყრობელი  
1405 წ. გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემ-  
დეგ მის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს შო-  
რის დაუნდობელი დინასტიური ბრძოლები გა-  
ჩაღდა. დაპყრობილმა ერებმა მარჯვე შემ-  
თხვევა გამოიყენეს და დაუცხრომელი ბრძო-  
ლით დამოუკიდებლობა და თავისუფლება აღი-  
დგინეს. დაპყრობითი ომებით შექმნილი უზარ-



მაზარი საბრძანებელი მალე დაიშალა. თემურ-  
ლის ჩამომავლობამ მხოლოდ ინდოეთში მდებარე  
ნარჩუნა ბატონობა.

\* \* \*

თემურ-ლენგის პოლიტიკურ წასპარეზზე გამოჩენა ქართველებისათვის უცნობი არ დარჩენილა. მისი არაჩვეულებრივად სწრაფი გაძლიერების ამბავმა აქ მალე მოაღწია. ჩვენი ქვეყნის სამხრეთით მდებარე სახელმწიფოებში თათართა მრავალრიცხოვანი ურდოები გამოჩნდნენ თუ არა, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარზე მომდგარი საფრთხე გაითვალისწინეს და საომარ სამზადისს შეუდგნენ: საზღვრები, ციხე-ქალაქები, სიმაგრეები, სახიზარები გაამაგრეს და „სპა გაამრავლეს“.

XIV-XV ს. ს. ქართველი პოლიტიკოსების შეხედულებით თემურ-ლენგის ერთადერთი ძლიერი და საშიშარი მეტოქე კოქროს ულუსის მბრძანებელი, თოხთამიშხანი იყო. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებმა მასთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართეს და თემურის წინააღმდეგ დაძრული მისი ლაშ-

ქარი დარიალისა და დარუბანდის ქარებზე  
გამოატარეს. მაგრამ ქართველების ვარაუდი  
არ გამართლდა: მოულოდნელად თემურ-ლენგ-  
მა გულდაჯერებულ მოწინააღმდეგეს გამარ-  
ჯვება ხელიდან გამოაცალა. ამის შემდეგ  
თემურმა საქართველოს სამაგალითოდ დასჯა  
და მისი დაპყრობაც გადასწყვიტა, რათა  
ამით თოხთამიშისათვის ქედზე გადმოსას-  
ვლელი გზები ერთხელ და სამუდამოდ შეეკრა.

1386 წ. მან ზედიზედ დაიპყრო საქარ-  
თველოს სამხრეთის მისასვლელები: გარნი-  
სი, ნახკავანი და კარისციხე-ქალაქი.  
აქედან ის უმოკლესი გზებით ჯავახეთში  
შეიჭრა. მიუხედავად ზამთრის მკაცრი ყინვე-  
ბისა, სასტიკად დაარბია ჩვენი ქვეყნის ეს  
კუთხე, აქედან კი ტფილისისაკენ იბრუნა პირი.  
საქართველოში შესაჭრელად არჩეული გზა  
მოწმობს, რომ თათრებს მეგზურებად საქარ-  
თველოს კარგად გაცნობილი პირები უნდა  
ჰყოლოდათ.

ამ დიდი განსაცდელის უამს საქართვე-  
ლოს მეფედ ბაგრატ V (1360-1393), დავი-  
თის-ძე იჯდა.

ბაგრატი V 1360 წ. გამეფდა. ის ძველი  
წესის თახახმად ქუთაისში აკურთხეს.  
ბაგრატიც გაერთიანებული საქართველოს „მე-  
ფეთ მეფე“ იყო.

მის დროს საქართველოს სამხრეთ-დასა-  
ვლეთით ტრაპიზონის საკეისრო ესაზღვრებო-  
და. სამხრეთ-აღმოსავლეთით ილხანების ერა-  
ნის სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებული  
სპარსულ-თურქული ქვეყნები მეზობლობდნენ.  
ჩრდილოეთით მისი საზღვარი ქედს იქით  
გადიოდა: დვალეთი და ოსეთიც საქართვე-  
ლოს საზღვრებში შემოდიოდა. ქ. ანისი ისევ  
საქართველოს სამფლობელოს საზღვრებში იყო  
მოქცეული. მაგრამ აღარც კარის ანუ ყარსის  
ციხე-ქალაქი, აღარც გარნისი და ნახჭავანი სა-  
ქართველოს აღარ ეკუთვნოდა. იქ მმართვე-  
ლებად უკვე მაჰმადიანი მოხელენი ისხდნენ.  
მართალია, წინანდელთან შედარებით საქარ-  
თველო ტერიტორიულად საკმაოდ იყო შემ-  
ცირებული, მაგრამ იმდროინდელ მახლობელი  
აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს შორის  
ჯერ კიდევ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა.  
პოლიტიკური ურთიერთობა წინანდელ ყ მ ა დ-



ნ ა ფ ი ც ქვეყნებთან ისევ გაბმული უკანასკნელნიც გაჭირვების დროს საქართველოს მთავრობას სთხოვდნენ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას.

ბაგრატი მეფე ლამაზი და ტანადი ვაჟკაცი ყოფილა. ნიჭიერ სარდალს გულადი მეომრის და უცთომელი მოისარის სახელი ჰქონია მოხვეჭილი. ტრაპიზონელი ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი ბაგრატი მეფეს „უსახელოვანეს მხედართმთავარს“ უწოდებს. მე-14 ს. მეორე ნახევრის ერთი სანაპინელი სომეხი მწერალიც მას „მძლედ და ძლიერად“ იხსენიებს. თემურ-ლენგის დროინდელი და მერმინდელი სპარსელი მწერლები იპოკრატს (ბაგრატს) ნიჭიერ პოლიტიკოსად და სამხედრო თვისებებით შემკულ მხედრად სთვლიან. ქართულ საისტორიო მწერლობაში მას ბაგრატი დიდის სახელი აქვს დამკვიდრებული. უეჭველია, ბაგრატი მეფეს ჯერ კიდევ თათართა შემოსევამდე უნდა გაეთქვა სახელი. ერთი ქართველი მწერლის ნაგვიანევი ცნობით მას ყველა ომი მოუგია, გარდა თემურ-ლენგთან ომისა. ბაგრატი V



რომ სომეხი მწერლის, თომა მეწოფელის სიტყვით: მოკლული უფრო მეტი იყო, ვიდრე ცოცხლად დარჩენილი.

მეფისა და მისი სახლობის დატყვევებით გახარებულ თათართა ყაენს ტფილისი არ გაუნადგურებია.

ჩქარა მან ტყვედწაყვანილ ბაგრატ მეფეს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ბაგრატი დიდხანს უარს ამბობდა. მამა-პაპური სარწმუნოების გამოცვლას არ თანხმდებოდა. თემურ-ლენგი არ ეშვებოდა. სამაგიეროდ უხვ წყალობას და ტყვეობიდან განთავისუფლებას ჰპირდებოდა. ბოლოს ბაგრატის მტკიცე უარი ყოყმანმა შესცვალა. თემურ-ლენგის თვალის ასახვევად გარეგნულად ის მაინც გამაჰმადიანდა. მოსატყუებლად თათართა მბრძანებელს ბაგრატი ასე მოახსენა: „მომეც მე დიდი ჯარი, რათა წავიდე ქართლში, დავიჭირო მთელი ის ქვეყანა და თქვენს რჯულზე მოვაქცი“-ო. ცბიერმა და ეჭვიანმა თემურმა, თომა მეწოფელის მოწმობით, ბაგრატს ნათქვამი დაუჯერა, მდიდრულად დაასაჩუქრა, საქართველოში პატივით

ლაშქარი  
შვილებს  
1833

გაისტუმრა და თან ჩაღატაების დიდი ლაშქარი გამოაყოლა. ბაგრატ მეფემ თავის შვილებს, გიორგის და კონსტანტინეს, საიღუმლოდ შემოუთვალა მასთან ფარულად მისულიყვნენ, მტრის ჯარს გაუვალ გზაზე დახვედროდნენ და მშობელი მამა თათართა ხელიდან გამოეხსნათ. ისე მოხდა, როგორც ეს წინასწარ იყო მოგვარებული. ბაგრატ მეფემ თათართა ლაშქარი განგებ ისეთ უგზო-უკვლო იწროში შეიყვანა, სადაც ქართველებს ადვილად შეეძლოთ მისი გარშემორტყმა და ამოწყვეტა. მეფისწულებმა ქართველთა ჯარით გასავლელი გზა დაიკავეს, მახვილები გააშიშვლეს და მტრის 12.000 მეომარი გაჟლიტეს.

თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოს დაპყრობით არ დასრულებულა. გულგაუტეხელი ქართველობა, სანამ დიდი სარდალი უზარმაზარი ქვეყნების დაპყრობით იყო გართული, მიყენებულ ზიანისა და ზარალის გამოსწორებას ცდილობდა და მომავალ ბრძოლებისათვის მხნედ ემზადებოდა.

1393 წ. თათართა წინააღმდეგ სამცხეში აჯანყებამ იფეთქა. მის ჩასაქრობად

სამცხე  
სახ.  
სამცხე  
სამცხე  
სამცხე





თემურ-ლენგმა ოთხი სარდლის მეთაურობით  
იქ დიდი ლაშქარი გაგზავნა, თვითონ კი  
საქართველოში ალატალის ტყიანეთის გზით  
შეიქრა. მამაცი ქართველები მტერს ყველგან  
მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და ქვეყნის  
შუაგულში შესაჭრელად გზას არ ანებებდნენ.

ქართველების შეუპოვრობით გულმო-  
სული თემურ-ლენგი ქვეყნის აოხრებას შეუდ-  
გა: მისი ბრძანებით თათრები გამალებით ან-  
გრევდნენ. გაქირვებით აღებულ ციხეებს,  
ცეცხლს უკიდებდნენ მიტოვებულ ქალაქებსა  
და სოფლებს, უწყალოდ ანადგურებდნენ გა-  
ხიზნულთა სარჩო-საბადებელს და ვისაც სად  
მოახელებდნენ შეუბრალებლად ხოცავდნენ.  
მაგრამ ქვეყნის ოხრება-ტაცებითაც ვერ მიაღ-  
წიეს თათრებმა სასურველ მიზანს. სახლში  
შემოჭრილი მტრის სისასტიკე ქართველების  
გულში კიდევ უფრო მეტად აღვივებდა სამ-  
შობლოს სიყვარულს, თავისუფლების წყურ-  
ვილს და უღმობელი მტრის სიძულვილს.

ერთი წლის შემდეგ თემურ-ლენგი მე-  
სამედ შემოიჭრა საქართველოში. ეხლა მან



არაგვის ხეობა დაარბია. მაგრამ ამხელა და ც მიზანმიუღწეველი უკან გაბრუნდა.

ქართველი ხალხის ბრძოლას საშიში დამპყრობელის წინააღმდეგ ეხლა ბაგრატ V ძე, გიორგი VI (1393-1407) მეთაურობდა.

გიორგი VI მძიმე ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი: მას თავისი ქვეყანა ძლიერი მტრისაგან უნდა დაეცვა და ამით უზრუნველყო საქართველოს მომავალი. სწორედ ამიტომ ის შეუდრეკლად იდგა სამშობლო ქვეყნის სადა-რაჯოზე.

გიორგი VI ფრთხილი და დინჯი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მას არც გულადობა აკლდა; ქვეყნის დაცვას გონივრულად ხელმძღვანელობდა და დაუცხრომელი ბრძოლით თათართა ლაშქარს დიდ ზარალს აყენებდა. თემურლენგი ფიქრობდა, რომ მისი შეპყრობა ან დამორჩილება ქართველებს გულს გაუტეხდა, ბრძოლის ხალისს დაუკარგავდა, დატყვევებულ მეფეს ზავის პირობებს უკარნახებდა და ამით საქართველოს საბოლოოდ დაიმორჩილებდა. მაგრამ მისი ცდა ამაო აღმოჩნდა. თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი მებრძოლ

თავზარი დასცა საქართველოს „ნაპირის  
ადგილებში“ მოთარეშე თურქებს, რომელთა  
თა მარბიელი ლაშქარი ძარცვა-გლეჯით, მო-  
სახლეობის აწიოკებით და საქონლის წასხმა-  
გატაცებით ცხოვრობდა.

ბაგრატმა სასტიკად დასაჯა გამდგარი  
სვანთა ერისთავი, დაიმორჩილა თვითნებობას  
მიჩვეული დიდი მოხელენი და ლაგამი ამოსდო  
იმათ, ვინც შინაური შუღლის გაღვივებით ქარ-  
თველებში განხეთქილების ჩამოგდებას ჰფიქ-  
რობდა და მოძალადეობით უფლებების გაზრ-  
დას ცდილობდა. ბაგრატ V ქვეყნის მშენებლო-  
ბასაც დასდო ამაგი. დიდ დროს ანდომებდა აგ-  
რეთვე ციხე-სიმაგრეების გამაგრებას, ხალხის  
საომრად მომზადებას. მის დროს ჩვენ ქვეყანას  
ეკონომიური სახსარი და სამხედრო ძლიერება  
რომ ჰკლებოდა, უეჭველია, ქართველი ხალხი  
ხანგრძლივს ომს, რომელსაც თემურ-ლენგი  
განსაკუთრებული სიმკაცრით აწარმოებდა, ვერ  
გაუძლებდა და მის დამორჩილებას დიდი დამ-  
პყრობელი ადვილად მოახერხებდა.

მაინც ბაგრატ მეფისათვის თემურ-ლენ-  
გის შემოსევა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნ-



და, რომ ტფილისის ბუნებრივად მაგარი და ხელოვნურადაც კარგად გამაგრებული ციხის ისე დაცვა, როგორც ეს ძლიერი მტრის დასახვედრად იყო საჭირო, ვერ მოასწრო. ქალაქის გარემოცვას და ციხის აღებას თემურ-ლენგი პირადად ხელმძღვანელობდა. როგორც ყველგან, მან აქაც მოხერხებულად გამოიყენა ციხის ასაღები ყველა საბრძოლველი იარაღი. ძლიერი იერიშიც ოსტატურად მოაწყო. დიდ რკინის ფარებს ამოფარებული თათრის მოლაშქრეები ციხის გარეშე კედლებს მიაწყდნენ, ქვემო ციხეს კარი გაუტეხეს, ქალაქის გაღავანზე გავიდნენ და ქუჩებში შეიჭრენ: ქართველები მათ გულდაგულ შემოებნენ და სანამ ღონე და ძალა შესწევდათ თავგამეტებით იბრძოდნენ. ბაგრატ მეფე ზემო ციხეში ავიდა და იქიდან განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. მიუხედავად ქართველების თავგანწირული ბრძოლისა, რომელიც მტრის ალტაცებასაც კი იწვევდა, 1386 წ. 21 ნოემბერს ბაგრატი მეუღლით ანნათი და ვაჟიშვილი დავითით თემურ-ლენგს ტყვედ ჩაუვარდა. ტფილისისათვის ბრძოლა ისეთი სასტიკი ყოფილა,



მეფეს თვალისჩინივით უფროთხილდებოდა, მისი  
 შეპყრობა დიდმა მხედართმთავარმა, მისი  
 ხერხის მიუხედავად, ვერ შესძლო. გიორგი  
 მეფე სხვასავით მას მორჩილად არ ეახლა.  
 არც ხარკი გაუგზავნია მისთვის. ბრძოლით  
 კი თათრებმა ის ხელთ ვერ იგდეს. ვერც  
 მოსყიდულთა და დაქირავებულთა ღალატმა  
 უშველა მტერს.

გიორგი VI ბრძოლის ყველა საშუალებას  
 მიმართავდა, რათა სამშობლო ქვეყნისათვის  
 უცხო ქვეყნის ყმობის მძიმე უღელი აეცდინა.  
 მისი მეფობა ომის დროს დაიწყო და ომის  
 ასპარეზზე დამთავრდა: როცა თათრების  
 ლაშქრის უკანასკნელი ნაშთები ჩვენი ქვეყნიდან  
 განდევნილი იყვნენ, ახლად გაძლიერებული  
 დამპყრობელის, შავბატკნიანთა თურქმანების  
 ბელადის ყარა-იუსუფის წინააღმდეგ  
 მხნე მებრძოლი მეფე 1407 წ. გმირულად დაიღუპა  
 ბრძოლის ველზე.

თემურ-ლენგთან ბრძოლის დროს ქართველები  
 მარტო აქტიური წინააღმდეგობით არ დაკმაყოფილებულან. როდესაც ახლო აღმოსავლეთის  
 დაჩაგრულმა ერებმა აჯანყების

დროშა ააფრიალეს და თათრებს ყველგან  
მდგომარეობა გაუართულდათ, ქართველებმა  
მარჯვე შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და  
თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ.

1400 წ. გიორგი მეფე საქართველოს  
ლაშქრით აღინჯას გაემართა. მის ჯარს შირ-  
ვანელები და სომხებიც შეუერთდნენ. სეიდ  
ალი შაქისელიც ამათ მიემხრო. ამიერ-  
კავკასიის დაპყრობილმა ხალხებმა ერთმანეთს  
ძმურად ხელი გაუწოდეს, შეერთებული ძალით  
თათართა ბატონობისაგან განთავისუფლება  
გადასწყვიტეს და საერთო მტრის წინააღმდეგ  
საბრძოლველად გამოვიდნენ. ძველ დროსაც  
არა ერთხელ დახმარებიან ქართველები რო-  
მაელების, სასანიანთა სპარსეთის, ბიზანტიე-  
ლების, არაბების თუ თათრების წინააღმდეგ  
აჯანყებულ-ამბოხებულ მეზობლებს. შემდეგ-  
შიაც (XVII საუკუნის პირველ მეოთხედში)  
ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებ-  
მა ერთნაირად გაიზიარეს შაჰაბასის შემოსე-  
ვებით გამოწვეული უბედურება: დაუნდობელი  
ხოცვა-ჟლეტა და აყრა-გადასახლება. საერთო  
განსაცდელის და ხიფათის მაღალი შეგნება



კარის მეზობლებსა და მოძმე ხალხებში, ჟურნალ  
 მეგობრობად ინასკვებოდა და მრისხანე ძალად  
 იჭედებოდა. გიორგი მეფის ლაშქრობაც ამის  
 მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

ქართველების, სომხების და შირვანე-  
 ლების შეერთებული ლაშქარი აზერბაიჯანის  
 ვილაიეთის მტრისაგან გაწმენდას შეუდგა.  
 ლაშქრობის მთავარ მიზანს ტაჭერის, სულ-  
 ტან აჰმედ ჯალაირის შვილის, განთავისუფ-  
 ლება შეადგენდა. ტაჭერი თავის ლაშქრითურთ  
 სულტან სინჯარ საჯი სეფედდინს ალინჯაკის  
 ციხეში გამოეკეტა. „ციხის აღების გასაადვი-  
 ლებლად მისთვის მრავალმხრიდან ქვეითკირის  
 მალალი კედლები შემოეველოთ ისე, რომ არც  
 ციხიდან შეეძლო ვისმე გამოსვლა და არც  
 გარედან უშვებდენ ვისმე ციხეში“. ამის გამო  
 გარემოცული მეციხოვნენი დიდად იყვნენ შე-  
 წუხებულნი. მოალყე ჯარი ციხის დაცემას  
 დღე-დღეზე მოელოდა. მაგრამ გარემოცულთა  
 დასახმარებლად და გადასარჩენად მოსული  
 ქართული ლაშქრის გამოჩენამ მოალყეთ გე-  
 გმა ჩაუშალა. დაბნეულმა სინჯარ საჯი სე-  
 ფედდინმა მირანშაჰ თემურის ძესთან კაცი აფ-



რინა და შველა ითხოვა. თავრიზის ბატონმა  
 მას თავისი შვილი აბუბექრი და ნოინები დასწავს  
 მარებლად გაუგზავნა, მაგრამ ქართველებს უკვე  
 მოესწროთ ალინჯაკის ციხეში შექრა და ტა-  
 ჰერის განთავისუფლება. გამარჯვებული ქართ-  
 ველები რომ სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათ  
 აბუბექრის ლაშქარმა მოუსწრო და მყისვე  
 ფიცხელი ბრძოლა ატყდა. მოპოებული წარ-  
 მატებით წახალისებულმა ქართველებმა მტერ-  
 ზე ძლიერი იერიში მიიტანეს და თათრები  
 სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლაში გმირუ-  
 ლად დაიღუპა ს ე ი დ ა ლ ი შ ა ქ ი ს ე ლ ი. ქარ-  
 თველებმა განთავისუფლებული ტაჰერი საქარ-  
 თველოში თან წაიყვანეს. მიუხედავად თემურ-  
 ლენგის მუქარისა, საქართველოს მთავრობამ  
 მისი გაცემა არ იკადრა, თემურ-ლენგის ელჩებს  
 ცივი უარი შეუთვალა და მეზობელი აზერ-  
 ბაიჯანის მფლობელი რუმს გაისტუმრა.

1399 წ. თემურ-ლენგმა მეოთხედ შემო-  
 არღვია საქართველოს ზღუდე. ამ შემოსევის  
 დროს განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდა კ ა -  
 ხ ე თ ი, რომლის მმართველი, ომში ნაცადი  
 გმირი ხ ი მ შ ი ა, ოცი დღის განმავლობაში,





გადაუღებელ წვიმასა და თოვლში, ტებით ებრძოდა მოზღვავებულ მტერს. პოვარ ბრძოლაში მტერიც დიდად დაზარალდა. მაგრამ თათრების ჯარის სიმრავლემ ბოლოს თავისი გაიტანა. ქვეყნისათვის თავდადებული ხიმშია იძულებული იყო მტრის ქარბი ძალების მოწოლას ბრძოლით გასცლოდა, აყ-ს უმდე ანუ თეთრ-წყლამდე დაეხია და თავის ჯარითა და მოსახლეობითურთ გაუვალ ტყეებს შეჰხიზნოდა. დანებებით კი ის მტერს არ დაჰნებებია. ამრიგად, გადამწყვეტ გამარჯვებას თემურ-ლენგმა ვერც ეხლა მიაღწია.

მამაცი ხალხის იარაღით დამორჩილება შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ ქართველების უმაგალითო წინააღმდეგობის გასატებად მრისხანე თემურ-ლენგმა ეკონომიური ომის ყველაზე ველური საშუალებები გამოიყენა: მისი ბრძანებით ყველგან უწყალოდ გაჰკაფეს ბაღბოსტნები, ასჩეხეს ვენახები, ძირში დასჭრეს კაკლის ხეები; დაიტაცეს წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი; დაანგრიეს სასახლეები, ეკლესიები, სამეურნეო ნაგებობები და საცხო-



ვრებელი სახლები. ცეცხლი შეუღვეს ქებსა და სოფლებს. იქ სადაც გუშინ სიცი-  
ხლე დუღდა და გადმოდუღდა, მრავლად გაჩნდა  
ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნასახლარი, ნასა-  
სახლევი, ნაფუძარი და ნავენახევი. ყოველ ხუთ  
ჩაღატაელს 20 ტყვე ჰყავდა. ტიტველ-შიშ-  
ველი, მშიერ-მწყურვალი მრავალი ქართველი  
ტყვე უცხო ქვეყნის გზაზე კვდებოდა, ხოლო  
თათრები ქვით უჭეჭყავდნენ მათ თავს. ქარ-  
თველ ხალხს, რაც თავი ახსოვდა, ასეთი და-  
ღადობა არასოდეს არ გამოეცადა.

მაგრამ არც თემურ-ლენგს დაადგა კეთი-  
ლი. ზამთრის მკაცრი ყინვებისა და დიდი თოვ-  
ლის გამო მის ლაშქარს ძალზე გაუჭირდა. ჯარს  
სურსათი შემოაკლდა. ცხენებსაც, ხის ქერ-  
ქის გარდა სხვა საკვები არ ჰქონდა. უკმელო-  
ბით აუარებელი საქონელი დაიხოცა. ხალხიც  
მრავლად გაწყდა. თანაც ქართველები მოსვენ-  
ებას არ აძლევდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ  
თათრების ლაშქარს. შვილდ-ისრის დაუცდე-  
ნელი სროლით და მოულოდნელად თავს მო-  
ხვეული ხელჩართული ბრძოლებით ისინი შე-  
უბრალებლად სპობდნენ მტრის მეომრებს.



იმდროინდელმა ქართველმა სახალხო მგებლებმა ცოლშვილი მაღალ გამოქვაბულებსა და სახიზარებს შეაფარეს, თვითონ კი მტერს სული გაუმწარეს. მტრის ლაშქარში დრტვინვამ და უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ამან თემურ-ლენგი აიძულა საქართველოდან უკან დაეხია და მისი დაპყრობა სამერმისოდ გადაედო.

თათრების მეხუთე შემოსევამ, რომლის საბაბი ტაჰერის გაუცემლობა იყო, ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დიდი ზიანი მიაყენა. ეხლა მტარვალს ქართველი ხალხის სრული განადგურება ჰქონდა გადაწყვეტილი.

ქვეყნის დარბევა თემურ-ლენგმა არა გვის ხეობიდან დაიწყო, შემდეგ მუხრანს შემოადგა, აქედან მუხრანის დასავლეთით მდებარე ჯანიბეგ ქართველის საგამგებლოში შეიჭრა, მერე სამხედრო მოქმედება მტკვრის გამოღმა გადმოიტანა, თედმის ხეობაში ყაჩაღური ნავარდი განაგრძო და ნადავლს დახარბებულ თათრის მოლაშქრეებს რკონის მდიდარი მონასტერი გააძარცვინა, ბოლოს მარბიელი ლაშქარი



ქართლის გაშლილ ველზე გამოეყენა  
და ზემო ქართლს შეუსია.

თემურ-ლენგი ყველგან დაუნდობლად სპობდა და ანადგურებდა ნათესებს, მოსაველს, ხეხილს, საცხოვრებელ სახლებს, ციხე-სიმაგრეებს, ეკლესიებს და ნივთიერი კულტურის ძეგლებს, რათა ამით დაუმორჩილებელ ხალხში სასოწარკვეთილება გამოეწვია, მისთვის ცხოვრების სახსარი მოეშალა. ამავე დროს თათრები შეუბრალებლად ხოცავდნენ იმ ქართველებს, რომელთაც გახიზვნა ვერ მოესწროთ.

ასეთ ძალადობას ქართველობამ აჯანყებით უპასუხა. თემურ-ლენგმა აჯანყება ჩააქრო, მაგრამ გულადი ქართველები მაინც დაულაღავად განაგრძობდნენ ბრძოლას სასტიკ მტერთან. აჯანყება აჯანყებაზე ეწყობოდა. ქართლის დარბეული თემები და ხეობები აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. თემურ-ლენგი იძულებული იყო ზურგის გასამაგრებლად ტფილისში ხვარასნელთა ლაშქარი დაეტოვებინა.

თემურ-ლენგი დაჯინებით ცდილობდა გიორგი VI შეპყრობას, რადგან დარწმუნე-

ბული იყო, რომ აჯანყების მეთაურის დაქვრის, გაძევება ან მოკვლა გაუთავებელ ომს შეესაბამებოდა და მას სანატრელ გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ გიორგი მეფის შესაპყრობად სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნილმა მღვვარმა მეფის კვალს ვერსად მიაგნო და მბრძანებელთან ხელცარიელი დაბრუნდა. გიორგი VI თემურ-ლენგს ეხლაც ხელიდან გაუსხლტდა და ლიხთ-იმერეთს გადავიდა.

მეფე წავიდა, მაგრამ ხალხს ბრძოლა არ შეუწყვეტია.

ოღონდ ეს იყო: ბრძოლის წესები შეიცვალა და მტრის ჯარის სიმრავლეს სახალხო ომის განსაკუთრებული ხერხები დაუპირისპირდა. თემურ-ლენგის ისტორიკოსის, შერიფედინის, სიტყვით: როცა ქართველებს ბარად გაუჭირდათ, დაბლობებს გაეცალნენ, მაღლობ გამოქვაბულებში, საიმედო სახიზარებში და მიუდგომელ ციხე-სიმაგრეებში ავიდნენ და იქიდან განაგრძეს წინააღმდეგობის გაწევა. პარტიზანული ომი გაჩაღდა. ბრძოლის ასეთ წესს საქართველოს ბუნებრივი პირობები თა-

ვისთავად ხელს უწყობდა. მრისხანე კარტა-  
ზანულ ომებს ოსტატურად ხელმძღვანელობდა.  
დნენ სამშობლოსათვის თავგადასხმული გმი-  
რები: კახეთის მმართველი ხიმშია, ჯანი-  
ბეგი და ქსნის ერისთავი ვირშელი,  
რომელმაც ბებშვის ციხესთან მტრის დიდ-  
ძალი მარბიელი ლაშქარი გაწყვიტა.

თემურ-ლენგის გულადი და მარჯვე  
ცხენოსნები საშინელ ძალას წარმოადგენდნენ  
ქართლის გაშლილ ველებზე, კიდევ უფრო საში-  
ნელი იყვნენ ისინი როგორც მდევრები, მაგრამ  
საქართველოს მთიანეთსა და ტყიანეთში მტრის  
ცხენოსანი რაზმები უმწეონი იყვნენ. მათი  
მოქმედება აქ შეზღუდული იყო. აქ ქართვე-  
ლები მტერს ვიწროებში იტყუებდნენ, ალყას  
არტყამდნენ, შვილდისრის სროლით ცხენებს  
უხოცავდნენ, დაქვეითებულ მხედრებს მალ-  
ლიდან დაგორებულ საგორავებით, და ქვე-  
ბით ანადგურებდნენ და, ბოლოს, ხელჩარ-  
თული ბრძოლით მწარედ ამარცხებდნენ. სი-  
მტკიცე-გაუტეხელობასთან ერთად ქართველ  
მეომრებს სიმარჯვე და ხერხიანობაც ახასია-  
თებდათ. მტრის სიმრავლეს ისინი სამხედრო

ოსტატობას უპირისპირებდნენ. ამიტომ თემურ-  
ლენგი ცალკეულ ბრძოლებს იგებდა, მაგრამ  
გრამ გადამწყვეტ გამარჯვებას ვერ აღწევდა.

მტრის ლაშქარს ყველგან ბრძოლით უხ-  
დებოდა გზის გაკათვა. თემურ-ლენგის მრის-  
ხანებას საზღვარი არა ჰქონდა. დიდი დამპყრო-  
ბელის თავმოყვარეობა შელახული იყო და  
უძლიერესი მხედართმთავრის სახელიც ხელი-  
დან ეცლებოდა. ქართველების უმაგალითო  
წინააღმდეგობის გამო მრავლად წყდებოდა  
მისი გაწვრთნილი ლაშქრის რჩეული მხედრო-  
ბა. შუა-აზიის ტრამალების მკვიდრთ მალალ  
მთებში და დაბურულ ტყეებში შეხიზნულ ქარ-  
თველებთან მომქანცველი, დაუსრულებელი და  
უაზრო ბრძოლა უჭირდათ. გულადობით გან-  
თქმული ქართველი მეომრები კი მათ მუსრს  
ავლებდნენ.

როდესაც მიუვალ ადგილებში თავშეფა-  
რებული ქართველების დამორჩილება შეუძ-  
ლებელი გახდა, ომებში დაოსტატებულმა  
თემურ-ლენგმა შემდეგს ხერხს მიმართა: თავი-  
სი მოლაშქრეები ზანდუკებში ჩასხა და გრძე-  
ლი საბლებით გამოქვაბულებისა და სახიზა-

რების გასწვრივ ჩააშვებინა. ზანდუკებით ჩა-  
შვებულები ქართველ მოლაშქრეებს რომ დამუ-  
პირისპირდნენ შვილდ-ისრით სროლა აუტეხეს,  
ზოგან კი გამოქვაბულებში შექრაც მოახერხეს.  
აქ უკვე ხმლითა და ხელშუბით ხელჩართული  
ბრძოლა გაჩაღდა. ქართველები აქაც თავდა-  
უზოგველად იბრძოდნენ. ბევრგან მათ საბლები  
ისრის სროლით გაწყვიტეს ან მახვილებით  
გადაქრეს, და მტრის მეომრები უფსკრულებ-  
ში გადასჩეხეს. ბევრ ადგილას ქართველების  
გამოქვაბულებიდან გამოდევნა შეუძლებელი  
გახდა. აქ გულფიცხმა დამპყრობელმა უფრო  
საზარელ საშუალებას მიმართა: მისი ბრძანე-  
ბით ზანდუკებით ჩაშვებულმა მეომრებმა ნა-  
ძენდ-შემოხვეული, ნავთში ამოვლებული და  
ცეცხლმოკიდებული ისრის შეტყორცნა დაიწ-  
ყეს, რათა თავგანწირულად მებრძოლი ქარ-  
თველი მოლაშქრეების შეუპოვარი წინააღ-  
მდეგობა, ცეცხლის მოკიდებით, ან შიგ კვამ-  
ლით ჩახრჩობით როგორმე გაეტეხათ.

რა საშუალება არ გამოიყენა თემურ-  
ლენგმა, მაგრამ ქართველ ხალხს მორჩილე-  
ბის ქედი ვერ მოადრეკინა.





გიორგი მეფე დას. საქართველოდან ისევ ქართლში გადმოვიდა და მტრისაგან ბული ქვეყნის აღდგენას და მოლაღატების დასჯას შეუდგა.

ვერც მეექვსე და მეშვიდე შემოსევით მიაღწია თემურ-ლენგმა მიზანს. მართალია, სწორედ ამ შემოსევების შემდეგ ის საქართველოს საბოლოოდ დაპყრობილად სთვლიდა, მაგრამ ფანასკერტის და თორთუმის ციხეებში დანთებულმა აჯანყებებმა ქართველი ხალხი ისევ ფეხზე დააყენა და სამართლიანი და გმირული ომის ფერხულში კვლავ ჩააბა. ეხლა თემურ-ლენგის მახლობლებიც აღიარებდნენ, რომ საქართველოს დაპყრობა-დამონება უნიადაგო ოცნება იყო და მორიდებით გულზვიად სარდალს საქართველოს მთავრობასთან ზავის დადების და მორიგების აზრი შეაპარეს.

მათი აზრით, თუ თემური ომს არ შესწყვეტდა, თათრების რჩეული მხედრობა საქართველოს მთიანეთსა და ტყიანეთში ამოიხოცებოდა.

სამხედრო ღონისძიებებით და ეკონომიური ომით რომ ვერაფერი გააწყო, თემურ-



ლენგმა წარტების მოპოვება პოლიტიკური  
 ვერაგობით ~~ქადა~~. წინასწარი მოლაპარაკება,  
 რომელსაც ~~ში~~ ელჩები და გიორგი VI დეს-  
 პანები აწარმოებდნენ, 1401 წელს ზავით დამ-  
 თავრდა. გიორგი VI ყოველწლიური ხარკის  
 გადახდა და ~~შველი~~ ჯარის გამოყვანა იკის-  
 რა. თათარ ~~დიდი~~ მოწინააღმდეგე ასე იმი-  
 ტომ მოიქცა რომ დრო მოეგო, გავერანებუ-  
 ლი ქვეყანა ~~აღდგინა~~ და ნაომარი ხალხი  
 შეესვენებინა მაგრამ ზავის დადებისთანავე  
 თემურ-ლენგ მოულოდნელად შემოიჭრა სა-  
 ქართველოში მისი ვარაუდით, ზავით დაიმე-  
 დებული და ~~წლ~~დამშვიდებული ხალხი გახიზ-  
 ვნას ვერ ~~გისწრებდა~~ და ვერც საომრად  
 მოემზადებოდა. მაგრამ მტარვალს იმედი არ  
 გაუმართლდა ხალმა ვერაგობამ მას ფიცხელი  
 ომი და მრისხნე აჯანყებები შესძინა. გიორგი  
 VI დადებულ ზავის პირობების ასრულება  
 აღარ მოისურა, და უფრო მეტი მხნეობით გა-  
 ნაგრძო ბრძოლა.

გიორგი მეფის დასასჯელად 1403 წ.  
 თემურ-ლენგმა ომი განაახლა. ეხლა მას მხო-  
 ლოდ შურისტება სწყუროდა. შემოსევისთანავე

მან დაუყოვნებლივ გაანადგურა დამწიფებული /  
მოსავალი, რათა ამით ქართველი ხალხისათვის  
ომის წარმოების საშუალება მოესპო. ამ უკანა-  
სკნელი, რიცხვით მერვე, ლაშქრობის დროს  
ის დასავლეთ საქართველოშიც შეიჭრა და  
აქაც ისეთივე უბედურება დაატრიალა, რო-  
გორიც მას აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონ-  
და ჩადენილი. თათრებმა ქუთაისამდე შემიაღ-  
წიეს, შვიდასამდე სოფელი ააოხრეს, მოსახ-  
ლეობა დააწიოკეს, და მრავალი ნაგებობა,  
ციხე-სიმაგრე, ეკლესია და მონასტერი დააქ-  
ციეს. მაგრამ თემურ-ლენგმა გიორგი მეფის  
კვალს ვერც აქ მიაგნო და მისი შეპყრობით  
გულის წადილი ვერ შეისრულა.

1403 წ. 12 დეკემბერს თათართა ყაენმა  
მოულოდნელად ბრძოლა შეაჩერა. ბრძოლის  
შეწყვეტას მალე ზავის დადება მოჰყვა. „უძლე-  
ველმა“ თემურ-ლენგმა ის იკადრა, რასაც არა-  
ვინ მოელოდა.

ომის გათავება მისთვისაც სასურველი  
იყო, რადგან ქართველების წინააღმდეგობისა  
და გულადობის გამო თანდათან ძალა ელევოდა  
და ლაშქარი უნახევრდებოდა. ამიტომაც ნირ-

წამხდარი მბრძანებელი ზავის გუნებაზე დადგა. მაგრამ საქმე ისე მოაწყო თითქო გიორგი VI შერიგება მისი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ამ საქმის მოგვარება მან ნოინებსა და კარისკაცებს მიახლო. შემდეგ კი ეს საკითხი მუსლიმანთა სასულიერო კრების მსჯელობის საგნად აქცია. ბოლოს თემურ-ლენგმა ნოინებისა და მოლა-მუფთიების ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარა „შეისმინა“, გიორგი მეფეს „დანაშაულობანი“ შეუხდო და ზავზე თანხმობა განაცხადა.

ზავი გიორგი VI დესპანებმა დასდეს. მის ნახვას თემურ-ლენგი ეხლაც ვერ ეღირსა. გიორგი VI შეუპყრობლობა თემურის უმწეობას ამჟღავნებდა და ქართველების შეუპოვრობას ამტკიცებდა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ თათართა ყაენს დიდი და ძლიერი სახელმწიფოების სულტნები, კეისრები და მეფეები ჰყავდა დამორჩილებულ-დატყვევებული.

ამრიგად, ჩვიდმეტი წლის თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველობას უქმად არ ჩაუარა, თათართა ბატონობა თავიდან აიცილინა, და ძლიერი მტერი აიძულა ომი შეეწყვიტა და მასთან ზავი შეეკრა.



ქართველმა ხალხმა დაუცხრომელი ბრძო-  
 ლით შესძლო სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის შენარჩუნება.

მუდამ ასე იყო: სამართლიანი ომი ლომ-  
 გულ ვაჟკაცებს წარმოშობდა ხოლმე. ეხლაც  
 ასე მოხდა. ბევრმა გამოიჩინა თავი ვაჟკაცობით  
 საქართველოს ამ ძნელბედობის ქაშს. მათი  
 დაუფიწყარი ნათელი სახელები საქართველოს  
 ისტორიის ფურცლებზეა აღბეჭდილი: ბ ა გ -  
 რ ა ტ V, გ ი ო რ გ ი VI, ხ ი მ შ ი ა, ჯ ა ნ ი ბ ე -  
 გ ი, ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ვ ი რ შ ე ლ ი, ის  
 დევ-გმირები იყვნენ, რომელთაც სამშობლო  
 ქვეყანა მძიმე განსაცდელის გზაზე გამარჯვე-  
 ბული გამოატარეს და დამოუკიდებლობა და  
 ეროვნული ღირსება შეუნარჩუნეს.

ესეც იყო: როცა ჩვენი ქვეყანა ხიფათსა  
 და ფათერაკს გადაეყრებოდა ხოლმე სულ-  
 გრძელეებთან ერთად სულმოკლენიც ჩნდებო-  
 დნენ, მაგრამ ქართველი ხალხი სასტიკად  
 უსწორდებოდა მოღალატეებსა და გულმში-  
 შრებს.

თემურ-ლენგის ერთერთი შემოსევის

დროს გარეწარი ბურღის შვილი ვირშელ-  
ლი მტრის ჯარს წინ მიუძღოდა და გზას უჩევე  
ნებდა. ქნოლოელმა მოლალატემ, ხარებაამ,  
ქვეყნის თავდადებული გმირის, ვირშელ ერის-  
თავის, დაღუპვა მოიწადინა. ამ შინაგამცემლებს  
ქართველებმა საკადრისი სასჯელი მიუზღეს.

✓თემურ-ლენგის შემოსევებს უკვალოდ არ  
ჩაუვლია. გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომე-  
ბის გამო საქართველოში დიდი გაჭირვება  
ჩამოვარდა. ქვეყანა აოხრებული იყო, ბაღბოს-  
ტნები გაკაფული, ვენახები გაჩეხილი, ნათესე-  
ბი განადგურებული, სოფლები და ქალაქები გა-  
ძარცული და გადაბუგული, მტკვრისა და ალა-  
ზნის ნოციერი ნაპირები თათართა ჯოგების  
საძოვრებად გადაქცეული. გაჭირვებას სიმ-  
შილობა მოჰყვა. სიმშილობას მოარული. ვინც  
თემურ-ლენგის მახვილს გადაურჩა, ის ჭირმა  
იმსხვერპლა. საქართველოს მოსახლეობა შეთ-  
ხელდა და დიდად დაზარალდა.

ლარგვისის მონასტრის 1356 წ. გადა-  
წერილი პარაკლიტონის ფურცლებზე 1400 წ.  
ამ ამბების მომსწრე ქართველს, გიორგი ბან-  
დაისძეს, მწუხარებით ჩაუწერია: „შემდგომ



მცირედისა უამისაჲ, დავრჩით <sup>მცირედისა</sup> ლი ხუთთა ძმათაგან და ვსტრო-  
 დი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბან-  
 დაისძე ავგაროზიშვილი... მის-  
 სა შემდგომად ღმერთმან... მიმი-  
 ხუნა (ე.ი. წამართვა) ექუსნი შვი-  
 ლნი, სამნი ვაჟნი, სამნი ქალნი დე-  
 დით მათითურთ“-ო. საერთო უბედურო-  
 ბის დროს ამ საბრალო ადამიანს ხუთი ძმა,  
 მეუღლე, სამი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი  
 გამოსცლია ხელიდან. ვინ მოსთვლის რამდენი  
 ასეთი ოჯახი დამხობილა პირქვე თათართა  
 შემოსევების წყალობით?

მაგრამ ქართველი ხალხი საოცარი მხნე-  
 ობით იტანდა გაჭირვებას, ოღონდ საძულველ  
 მტერზე გამარჯება მოეპოვებია და სამშობლო  
 ქვეყნის მიწა-წყლიდან გაედევნა. ამ ნათელი  
 მიზნის გამო ქულზე კაცი იყო საომრად გამო-  
 სული, გუთნის დედაც კი აბჯარში იჯდა და  
 დიდი და პატარა ომებში გამოწრთობილი  
 მტრის მრისხანე შემოტევებს იგერიებდა.

ქართველი ხალხის თავგადადებული  
 ბრძოლის მეთაური, გიორგი VI, განთავისუ-

ფლების ჟამმა დაჰკრა თუ არა, მტრის ლა-  
შქრის ნაშთების და მეციხოვნეების განდევნას  
შეუდგა: „განსხმიდა თათართა საზ-  
ღვართა თვისთაგან და მოსვრიდა  
და აღიღებდა ალაფთა მათთა დიდ-  
ძალთა“-ო—ამბობს ძველი წყაროს დამოწ-  
მებით XVIII ს. გამოჩენილი ქართველი ისტო-  
რიკოსი ვახუშტი.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგაც  
1415 წლამდე ქართველები თავდადებით  
ებრძოდნენ თათრებს და, ბოლოს, ბრძოლა  
საქართველოს მიწიდან მტრის მიერ დაკავე-  
ბულ შირვანისა და სივნიეთის ტერიტორიაზე  
გადაიტანეს.

თავისუფლების წყურვილი, სამშობლოს  
სიყვარული, მტრის სიძულვილი ჰკვებავდა  
ქართველობის ძალას. შეუდრეკელმა წინააღ-  
მდეგობამ, გაბედულმა შეტევამ და გამარჯვე-  
ბის ღრმა რწმენამ მოუტანა მას დამსახურე-  
ბული გამარჯვება.

გამარჯვებისთანავე ქართველობამ დან-  
გრეულ-დაქცეულის აღდგენა გადაუდებელ ამო-  
ცანად გაიხადა. რამდენადაც გასაოცარია ქარ-



თველობის უმაგალითო გამძლეობა მრავალ-  
წლოვან ომებში, იმდენადვე განმაცვიფრებელი  
მისი დაუზარებელი მშენებლობა ნაქირნახულე-  
ვი ქვეყნისა, სადაც, ქართველი და უცხო მწერ-  
ლების მოწმობით, ქვა ქვაზე არ იყო დატოვე-  
ბული.

XV საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის  
აღდგენის საქმეს ალექსანდრე მეფე (1412-1442)  
მეთაურობდა. ქართველობამ ღვაწლით მოსილ  
მაშენებელს დიდი უწოდა. მისი თაოსნობით  
გაშენდა მტრისაგან გავერანებული ქვეყანა.  
ნაქალაქარზე ახალ-ქალაქი აშენდა; ნასოფლარ-  
ზე ახალ-სოფელი; ნაციხარზე ახალ-ციხე. ახა-  
ლი მშვენებით გაბრწყინდა სიყვარულით რეს-  
ტავრირებული ქართული კულტურის ძეგლები.  
გახიზნული მოსახლეობა მიტოვებულ კარმიდა-  
მოს დაუბრუნდა. ნასახლარზე სიცოცხლის სხივ-  
მა ამოანათა. ომგადახდილმა ხალხმა ძალღონე  
მოიკრიბა. ერთი სიტყვით, ცხოვრება თანდათან  
კალაპოტში დგებოდა და გამარჯვების სიხარუ-  
ლი ქვეყნის „აღდგომით“ ორკეცდებოდა.

მაგრამ თემურ-ლენგმა წარმოუდგენელი  
ოხრება-ტაცებით ისეთი დიდი ზარალი მიაყე-

ნა ჩვენს ქვეყანას, რომ მისი ბოროტი ნამოქ-  
მედარის კვალი მომდევნო საუკუნეებშიაც  
იგრძნობოდა.

\* \* \*

ქართველობას მტრის მოგერება და სამ-  
შობლოს დაცვა ქუდბედად ჰქონდა თანდა-  
ყოლილი. თავდადებით იცავდა პატარა ქვეყ-  
ნის მამაცი და ნიჭიერი ხალხი საკუთარ მიწა-  
წყალს, დედა-ენას, სახელმწიფოს, დამოუკიდე-  
ბლობას და ეროვნულ ღირსებას.

რომაელები, სასანიანთა სპარსელები,  
ბიზანტიელები, არაბები, ხაზარები, სელჩუკი-  
ანი თურქები, თათრები (მონგოლები), ოსმა-  
ლები და ყიზილბაშები სხვადასხვა დროს და  
სხვადასხვა საშუალებით დაჟინებით ცდილობ-  
დნენ საქართველოს დაპყრობა-დამონებას, მა-  
გრამ უცხოელ დამპყრობელთა ვერაგულ ზრა-  
ხვებს ქართველი ხალხის მედგარი წინააღ-  
მდეგობა უპირისპირდებოდა. უმაგალითო გმი-  
რული ბრძოლით შეინარჩუნა ქართველმა ხალ-  
ხმა თავისი ათასწლოვანი კულტურა, სახელ-  
მწიფოებრიობა და ფიზიკური არსებობა.





ქართველი მეომარი მუდამ და გულადობით იყო განთქმული. დღევანდელ სამამულო ომში გერმანელმა ოკუპანტებმაც იწვნიეს ქართველი მეომრის მკლავის ძალა: ხმელზე, ჰაერში და ზღვაზე.

სახელოვანი წინაპრების საქებური თვისებებით, საბჭოთა ჯარის-კაცის მოვალეობის მაღალი შეგნებით და სოციალისტური სამშობლოს მოქალაქის ყველა ღირსებით შემკული ქართველი მეომრებიც თავდადებით იბრძვიან გერმანელ დამპყრობთა გასანადგურებლად და ჩვენი მართალი საქმის გამარჯვებით დასავირგვინებლად.

---

---

ხელ მოწ. დასაბეჭდად 11. XI. 43.  
ბეჭდურ ფორმ. რაოდ. 2<sup>3</sup>/<sub>4</sub>. ანაწიყ.  
ზომა 4×6 კვ. შეკვეთის № 776.  
შე 9777. ტირაჟი 2.000.

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,  
თბილისი, აკაკი წერეთლის ქ. 7.

ფანო 2 826.

5.2/52



20

В. Гвашвили

НАШЕСТВИЯ ТАТАР В ГРУЗИИ

Баграт V и Георгий VI

(на груз. яз.)